## ესთეტიკური შეხება - Aesthetic sense of touch - Эстетическое осязание

**შეხებით მოდალობაში** მეტ-ნაკლებად **მიზანმიმართული აღქმისა** და **ესთეტიკური გრძნობის** ერთობლივი ქმედება; მიზანმიმართული აღქმა აღქმულის **ესთეტიკური განცდისა** და **სიამოვნების**, ანდა **ესთეტიკური შეფასების** მიზნით. საყოფაცხოვრებო მაგალითები: მოფერება ან გრძნობიერი შეხება ადამიანისა ან ცხოველისა (ამ დროს უფრო ხშირად ორივე მხარე იღებს სიამოვნებას); რაიმე ნივთზე ხელის გადასმა მისი ზედაპირის მოსინჯვის ან სიამოვნების მიზნით; შხაპის მიღება, სხეულზე წყლის შესხმა, ჭყუმპალაობა; მასაჟი; **სატრფიალო თამაში** და სქესობრივი აქტი (არა შვილიერების მიზნით). უბრალო შეხებითი აღქმისგან განსხვავებით, **ეშ ქცევის ფორმაა**, რადგან აქვს საკუთარი **მოთხოვნილება**. **ეშ**-ს ზოგჯერ ერთვის მიზანმიმართული აღქმის სხვა სახეობა, მაგ., **თვალიერება** (მაგ., **სატრფიალო თამაშისას**).